ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 30
30/03/2018

30-08-4-201803301707

განკარგულება

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 27 ოქტომბერის №485 დადგენილების, ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბერის №488 დადგენილების, ,,ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 30 ოქტომბერის №487 დადგენილებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 2018 წლის 23 მარტის N1 აქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)ი.პ.ი „მომავალს“, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დასკვნით (დანართი) და ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, განსაზღვრული საკითხების აღსრულება.

2. კონტროლი განკარგულების აღსრულებაზე დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა